# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N1/კ-3

ქ. მესტია

30 სექტემბერი 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს N1404 განკარგულების საფუძველზე, ერთის მხრივ მესტიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, N1353 კონკურსში გამარჯვებული შპს „LMC", წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩხეიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") კონკურსის საფუძვლებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –"ხელშეკრულება") შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ალდგომილიანის უბანში ხევის გაწმენდის და ნაპირსამაგრი სამუშაოების, სოფ. წვირმის ცეცხლით დასახლებაში სახლების და ქუჩების დატბორვისაგან დაცვითი სამუშაოების, ასევე სოფ. ახალდაბა, ... სოფლის-მისასვლელი გზების და ხიდის ... საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.(CPV71200000)

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტში კონკურსის ჩატარების საკითხებზე მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მესტია, ანჯაფარიძის ქ.#7.

5.2 დასრულებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 2014 წლის 10 ოქტომბრის.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებსა აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტში კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.

7.3 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების **შეწყვეტის** შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია **9.4** პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **5** კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1 ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ქ. მცხეთა, არსუკიძის ქ. #7
ს/კ 236098824

სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა NGE11LB0120118541380000

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე

მიმწოდებელი

შპს „LMC"
მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის 50 ბ.20
ს/კოდი: 404919120

სს „თი ბი სი" ბანკი

ბანკის კოდი: TBCBGE22
GE42TB7110936080100001

დირექტორი

დავით ჩახვაშვილი
577 51 51 82